4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. კოლეჯში დამტკიცებულია საქმისაწრმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების განხორციელების პირობებს, აღნიშნული წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდება ამ წესების დაცვით, ჟურნალში და ელექტრონულად. ბეჭდური დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები არის დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი.
2. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს აქვს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რომელსაც იყენებს შიდა და გარე კომუნიკაციისთვის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა წარმოებს კოლეჯში დამტკიცებული საქმისაწარმოების წესის შესაბამისად.კოლეჯის მართვის სისტემაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა Outlook, office 365 პლატფორმა.
3. კოლეჯში უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. კოლეჯში საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, განსაზღვრული ყავს პეროსნალი სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან დროულად მიაწოდონ ანგარიშები, უკუკავშირი და ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.;
- გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი https://online.ug.edu.ge/onlinecollege/ და სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/ugcollege , რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესს; ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდებზე საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია , საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ,დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ. ბოლო სიახლე განთავსებულია 2020 წლის 20 ივლისს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ. ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. ვებგვერდზე არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

2. დაწესებულების მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, ასევე გასაუბრებით დგინდება, რომ გეგმავს ითანამშრომლოს არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ამ მიზნით კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც http://ugcollege.ge/en, დაწესებულებას საკუთარი შეხვედულებისამებრ აქვს განათავსებული ის ინფორმაცია, რაც მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვლისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისათვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.
3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
4. დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ის განთავსებული კოლეჯის ვებ გვერდზე და ასვევე ხელმისაწვდომია ონალინ სისტემაში რომელზეც წვდომა გააჩნია ყველას ვისაც აქვს კოლეჯის მიერ გადაცემული პერსონალური კოდი და პაროლი. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობა, ხანგძლივობა და შეფასების წესის შესახებ, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია. კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, დაინტერესებულ პირს იგი უნდა აწვდიდეს მნიშვნელოვან მესიჯებს თუ რას წარმოდგენს დაწესებულება, რა რის მისი მიზანი, რისკენ მიისწრაფვის და რა გზით მიდი დასახული მიზნისკენ. შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია კატალოგში შეიტანოს სხვა სახის ინფორმაციებიც, რისი მიწოდებაც სურს ფართო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საზოგადოებისათვის. მაგალითად: სწავლების საფასური; აკადემიური კალენდარი; ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ; განხორციელებული აქტივობები; ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში; ფოტომასალა და სხვ.

5. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი პროგრამების კატალოგს შემუშავებულია 2019 წელს, დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პროგრამების კატალოგი განახლდება საჭიროების მიხედვით,მათ შორის პროგრამებში განხორციელების ცვლილების შემთხვევაშიც.
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯი მიღებულ ინფორმაციას და უკუკავშირს ამუშავებს შესაბამის სამსახურების ჩართულობით, მიღებული ანალიზი გამოყენებულია კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აღნიშნული პროცედურა დეტალურად გაწერილია კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების წესში, ასევე მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენაზე
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომლის განხორციელებაც გადადის ახალ ფართზე

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის 03/19 ოქმით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15 ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6 მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება				
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება			
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება				
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის(განხორციელდება გაცნობითი პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტის მოდულები) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; ამისათვის კოლეჯის სასწავლო აუდიტორიაში განთავსებულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი/სკამი, პროფესიული სტუდენტისათვის კომპიუტერები სულ 15 ც და 1 ც პროფესიული განათლების მასწავლებელისათვის, ასევე პროექტორი და პროგრამით გათვალისწინებული სხვა მატერიალური რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების კომპიუტერების მონაცემები ბევრად აღემატება, სტანდარტით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს. კოლეჯმა წარმოდგინა საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც მოიცავდა ზოგადად ჩანაწერს მატერიალური რესურსებით დახმარების/უზრუნველყოფის შესახებ, სადაც არ იყო დაკონკრეტებული რა სახის რესურსების გადმოცემას ეხებოდა და რა ვადით, აღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოედგინათ კონკრეტული დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა არსებული რესურსების კოლეჯისთვის გადმოცემის ფაქტს, ამის გათვალისწინებით საქართველოს უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს შორის გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები, გაფორმდა შეთანხმება გაიწერა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რაოდენობა და სარგებლობის ვადა (მინიმუმ ავტორიზაციის ვადით).
2. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' პროგრამის განმახორციელებელი პირების - პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 3 ზოგადი მოდულების და 7 დარგის განმახორციელებელთან, მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ მოიცავდა საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ არსებით პირობებს, როგორიცაა სამუშაო ადგილი, ზეგანაკვეთური მუშაობის პირობები, შვებულებები და მისი მიცემის წესი. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დაწესებულებამ განაახლა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და წარმოდგენილ იქნა ცვლილებებით, სადაც აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება კოლეჯში არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რომელიც დასტურდება პირადი საქმეებით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განხორციელდა გასაუბრება, მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, თუმცა მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, ამის გათვალისწინებით სასურველია დაწესებულებამ სისტემური მიდგომით მოახდინოს პროგრამის განხორციელებისთვის პროფესიული მასწავლებლების მომზადება: დაიგეგმოს ტრენინგების ციკლი სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი საწარმოებელი დოკუმენტების შედგენა/წარმოების უზრუნველსაყოფად.
4. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ დამტკიცებულ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის, ასევე განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოორდინაცია გაუწიოს პროგრამის განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში იზრუნოს პროგრამის განვითარებაზე.
5. კოლეჯში არსებობს ელექტრონული და მატერიალური სახის სასწავლო რესურსები, ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს უნივერსიტეტთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი(გაფორმებული 2020 წლის 24 იანვარს), რომლის საფუძველზე გადმოეცა ბეჭდური წიგნადი რესურსი. კოლეჯში არსებობს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში ქცევისა და მოხმარების წესებს. დაწესებულებას აქვს სპეციალური ელექტრონული სისტემა, რომელიც მიბმულია ოფიციალურ ვებ გვერდს, სისტემაში დარეგისტრირებულია პერსონალი რომელსაც შეუძლია ბაზაში ატვირთული ელექტრონული ლიტერატურით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სარგებლობა, კოლეჯს ამჟამად პროფესიული სტუდენტი არ ყავს, მიღების შემთხვევაში იგეგმება მათი რეგისტრირება ამ ბაზებში და შესაბამისად ელექტრონული სასწავლო რესურსებით შეეძლებათ შეუზღუდავად სარგებლობა. საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით.

6. კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, რომელიც გამოიყენება სსსმ პირების უწყვეტი განათლების განხორციელებისათვის, ასევე კოლეჯი სრულადაა ადაპტირებული სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნებთან. მათ წვდომა აქვთ ყველა სასწავლო რესურსთან რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კოლეჯის ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მენეჯერის, მოდულის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, უშუალოდ სტუდენტის ან სტუდენტების მიერ. მათი ძირითადი მიზანია, მოხდეს ზუსტი განსაზღვრა თუ რა ტიპის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეიქმნას და რა ტიპის რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტმა მიაღწიოს სასწავლო შედეგს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.აღნიშნულიდან გამომდინარე სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. კოლეჯს შემუშავებული აქვს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია ყველა შესაძლო შემოსავალი და ხარჯი რომელიც შეიძლება ქონდეს პროგრამას. კოლეჯის შემოსავალია სწავლის საფასური და საქართველოს უნივერსიტეტის დონაცია, შემოსავლებიდან გარკვეული ნაწილი ხმარდება პროგრამის უზრუნველყოფასა და მის სრულყოფილად ფუნქციონირებას, გარკვეული ნაწილი ხმარდება მასწავლებლების საათობრივ ანაზღაურებას, ადმინისტრაციის ხელფასს, გადასახადებს, სამეურნეო და საოფისე ხარჯებს, ასევე ბიუჯეტში გათვალისწინებულია პერსონალის კარიერული გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში მათი ტრეინინგი საჭიროების მიხედვით. პროგრამის შემოსავალი არის კოლეჯის ცენტრალური ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილი. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პირადი საქმეები,ხელშეკრულებები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

2. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
3. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
4. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
6. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
7. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად; პროგრამის მოდულები ისეა აწყობილი, რომ ერთმენათთან ლოგიკური კავშირი იკვეთება. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც შეადგენს სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფს მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მენეჯერი უზრუნველყოფს გაკვეთილების ჩატარების მონიტორინგს. ამ ეტაპზე დაწესებულებას აქტიური პროფესიული სტუდენტები არ ყავს.
2. შემუშავებული მეთოდოლოგიების და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგების შეფასებით ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას გაითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად განახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე; კოლეჯის სასწალო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელთან, საფინანსო სამსახურთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად ვალდებულია იზრუნოს სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებაზე, სტუდენტებს საშუალება ექნებათ ნებისმიერი საჭირობის შესახებ შესაბამის სამსახურს მიმართონ შიდა სისმტემის მეშვეობით და მათგან უკუკავშირსაც მიიღებს ამავე გზით. პრფესიული სტუდენტი აღნიშნულის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და ტრეინინგს მიიღებს საორიენტაციო დღეებიდან. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური განახორციელებს კოორდინაციას ფინანსურ და ტექნიკურ საკითებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.
3. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, შიდა ონალინ სისტემა, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აღნიშნულის გამოყენებით სტუდენტებს გამარტივებული ექნებათ კომუნიკაცია კოლეჯის ადმინისტრაციასთან, მათ შეეძლებათ ერთ სივრცეში დაწერონ განცხადება, მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ნახონ შეფასებები, აკონტროლ გამოცდებისა და გაკვეთლების ცხრილი. მიიღონს კოლეჯისათვის საჭირო ინფორმაცია და ა.შ.

4. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავდება კოლეჯის შესაბამისი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან; პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ; დამატებითი შეფასების შესახებ პროფესიული სტუდენტის განცხადება მიიღება შეფასების გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, ხოლო დამატებითი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ინიშნება 3 დღის ვადაში.

5. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს მემონარდუმები სხვადასხვა 5 კომპანიასთან რომელიც განისაზღვრებიან გაცნობითი პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტი (მეორე სწავლის შედეგი) პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი საწარმო ობიექტები. დაწესებულების პარტნიორებია: შპს „პისი ქორნერ“, შპს „ორიენჯ ლოჯიკი“, შპს „გრინ სისტემს“, შპს „მბს“, შპს „აიტიკრაფტი“ თითოეულ მემორანდუმში განსაზღვრულია პრაქტიკაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა(თითო მემორანდუმის ფარგლებში 60 სტუდენტი), მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პრაქტიკაზე შესაბამისი დარგის ინსტრუქტორს გამოყოფის და სხვა მნიშვნლოვანი საკითხები, მემორანდუმები მოქმედია უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ინდ. სასწავლო გეგმების შედგენის მეთოდოლოგია;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე)
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- გასაუბრების შედეგები;
- დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებულია შეფასების სისტემის შემდეგი სქემა: სწავლის შედეგის დადასტურდა ან სწავლის შედეგის არ დადასტურდა. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, რომელშიც გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ,ხოლო სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმები მოიცავს ჩანაწერებს შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმების შესახებ,იმისათვის რომ შეფასების სისტემა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იყოს სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი აღნიშნული რეგულაციები უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს. დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ ეცნობათ აღნიშნული ფაქტი, მიეცათ რეკომენდაცია გაეწერათ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აისახება ინფორმაცია კონკრეტული ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადები, შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირები, რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი და სხვა. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ და გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები, ვიზიტის პერიოდში 2020 წლის 5 აგვისტოს დირექტორის N06/20 ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით 2020 წლის 10 სექტემბრამდე უნდა განხორციელდეს მის შეფასების სისტემის მარეგულირებელ წესში ცვლილებები და დაზუსტდეს ზ/აღნიშნული პროცედურები, დოკუმენტის სრულყოფასე პასუხისმგებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ვერიფიკაცია ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულებაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი არის სანდო, გამჭირვალე და სამართლიანი.შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანებია: მოხდეს შიდა შეფასების ჩატარება, კითხვარების შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი, შემფასებლის კონსულტირება შეფასების პროცედურასთან დაკაშვირებით, პროფესიულ სტუდენტთან მიღწევების ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობისა და საიმედოობის შემოწმება. შიდა ვერიფიკაციის გეგმა არის მუდმივად ცვლადი და ის შეიძლება შეიცვალოს საჭიროების მიხედვით, რომელსაც ადგენს პროცესის ხელმძღვანელი და მოდულის მასწავლებელი. აღნიშნული გეგმა ანგარიშის სახით წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შიდა ვერიფიკაციის შეფასებისათვის არსებობს ფორმა, რომელიც ივსება შიდა ვერიფიკატორის (პროცესის ხელმძღვანელის) მიერ. ვერიფიკაციის ჯგუფი შესაძლოა დაკომპლექტებული იყოს: კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული მოდულის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი. შიდა ვერიფიკაცია შეიძლება ჩატარდეს ყველა მოდულის დასრულების შემდეგ. აღნიშნული პროცედურა მიზნას ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც ეხმარება კოლეჯის ადმინისტრაციას აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც შეიძლება ვერიფიკაციის დროს გამოიკვეთოს. მოდულ(ებ)ის შემოწმების შერჩევა ხდება შემთხვევითი შერჩევის გზით, შესაბამისად, შემოწმებას ექვემდებარება გარკვეული სტუდენტების მიერ განხორციელებული აქტივობები; შერჩევა ხდება საკმარისი რაოდენობის ნიმუშების იმისათვის, რომ თითოეული მოდულის ფარგლებში დადგინდეს, თუ რამდენად თანმდიმდევრულად ხდება შეფასება და რამდენად იცავს მასწავლებელი კოლეჯის მიერ დადგენილ სტანდარტებს. შერჩეულ უნდა იყოს სტუდენტების არანაკლებ 25% (თუ პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობა 20-ზე ნაკლებია, მაშინ შემოწმებას ექვემდებარება ყველ პროფესიული სტუდენტი), სადაც აუცილებლად დაცული უნდა იყოს გენდერული თანასწორობა, ასევე აღნიშნულ პროცენტულობაში მოიაზრება სპეციალური საჭიროების მქონე პირები და ის პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც ვერ მიენიჭათ კვალიფიკაცია. შიდა ვერიფიკაციის გეგმა ინახება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ 3 წლის განმავლობაში. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი, სადაც ზუსტად უნდა იკვეთებოდეს ის პროცესები და საჭირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია კოლეჯის შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის. ვერიფიკაციის შედეგად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განსაზღვრული ცვლილებები თანხმდება კოლეჯის დირექტორთან. კოლეჯის დირექტორის ვიზირების (მოიაზრება წარმოდგენილ გეგმაზე კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერა) შემდეგ ხდება მისი განხორციელება. ხარისხის მართვის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შემდეგ, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ვერიფიკაციის შედეგების გათვალისწინებით , განხორციელდება მექანიზმების სრულყოფა და გაუმჯობესება.

3. დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტის შეფასება განახორციელოს ელექტრონულად, კოლეჯის შიდა ელექტრონულ სისტემაში მზადდება ბაზები, რომელშიც განთავსდება პროფესიული განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიული მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასებაც განთავსდება ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტის საბოლოო შეფასებაც ასევე განხორციელდება ელექტრონულად, აღნიშნული პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის უზრუნველყოფა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ელექრონულად;
4. დაწესებულების საგანმანათლენლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებით და აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დასურდება, რომ პროფესიული სტუდენტი ყველა შეფასების შემდეგ მიიღებს მიიღებს უკუკავშირს პროფესიული მასწავლებლისაგან შესაბამისად მას ექნება საშუალება რომ მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს შემდეგომი განვითარებისათვის. პროგრამა ისეა აწყობილი რომ ყველა შედეგის შეფასება გამოყენებული იქნება სტუდენტის შემდგომი განვითარების გამოყენებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმები;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

2020 წლის 21 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: